ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 109

ქალაქი ქუთაისი 28 თებერვალი 2024 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: გრიგოლ შუშანიასა და ანა კოხრეიძისათვის, პირადი განცხადებების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 30[1] მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 35-ე მუხლის მე-9 და მე-14 პუნქტებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: გრიგოლ შუშანიასა და ანა კოხრეიძისათვის, პირადი განცხადებების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ"** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო შემდეგი **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:**

„ მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს: გრიგოლ შუშანიასა და ანა კოხრეიძეს პირადი განცხადებების საფუძველზე შეუწყდათ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრის უფლებამოსილება.

2. მიმდინარე წლის 28 თებერვლიდან:

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
მას. № 29
29 02 2024 წ.

ქალაქ ქუთაისის მერია
საკრებულო
ადგილობრივი თვითმართველობა • ადგილობრივი ეკონომიკა

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, გრიგოლ შუშანია საქმიანობას წყვეტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობისა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში, როგორც საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ამ კომისიებში წარდგენილი წევრი.

ბ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ანა კოხრეიძე საქმიანობას წყვეტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში, როგორც საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ამ კომისიებში წარდგენილი წევრი.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილება აისახოს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №13 განკარგულებაში.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28 თებერვლის 52-ე სხდომის საოქმო გადაწყვეტილება წინამდებარე ბრძანების დედანს თან ერთვის) “

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საოქმო